სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის რატი ჩანტლაძის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	23	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	**20**
პროფესიული თვისებები	15	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	7	**10**
პროფესიული აქტივობა	1	**5**
ქულათა ჯამი	88	**100**

თარიღი : 9.12.24б

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევანი თევზაძე

2024 წლის 9 დეკემბერი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **რატი ჩანტლაძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, მოსამართლეთა 38 ვაკანტურ თანამდებობაზე, მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **რატი ჩანტლაძე.**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 3 დეკემბერს, ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით,

კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე, შეევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატი 31 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრი, თსუ, 2017 წელი), სპეციალობით მუშაობს 8 წელია, კერძოდ:

- 2016 – 2019 წლები, ადვოკატი - შპს „GLCG“;
- 2019 მარტი - 2019 დეკემბერი, იურისტი - შპს „AWARD-ში“;
- 2019 დეკემბერი - 2021 მარტი, მოსამართლის თანაშემწე - თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა;
- 2021 მარტი - 2022 იანვარი, მოსამართლის თანაშემწე - საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა;
- 2022 იანვარი - 2023 ივლისი, მთავარი კონსულტანტი - მოსამართლის თანაშემწე - მეორადი ტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა;
- 2023 წლის ივლისი - 2024 წლის ნოემბერი, მსმენელი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ, ხოლო გამოკითხული რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

კანდიდატ რატი ჩანტლაძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში არაა ხელმისაწვდომი რაიმე სახის ინფორმაცია. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელით. არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; არ აქვს საკრედიტო ისტორია. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის

დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

საანგარიშო პერიოდში, კანდიდატი ცხრა შემთხვევაში იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩადენისათვის, ასევე - ორ შემთხვევაში დაჯარიმებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის, აღნიშნული ჯარიმები გადახდილია დროულად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციით დგინდება, რომ კანდიდატი მხარედ მონაწილეობს ერთ მიმდინარე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეში.

კანდიდატი არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად რომელიმე საქმეში; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

კანდიდატს გამოქვეყნებული აქვს სტატიები: „ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით)", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", №4(60) თბილისი, 2018; „ადვოკატი წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში (ქართული და ამერიკული მოდელის შედარებითსამართლებრივი ანალიზი)", Ethical Duties of an Advocate Representing a Client in Mediation (Comparative Legal Analysis of Georgian and American Models), ჟურნალი „წელიწდეული", ქართულ და ინგლისურ ენებზე, თბილისი, 2019; „წამქეზებელი" მესამე პირი წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში - პასუხისმგებლობის საფუძვლები და ფარგლები, ქართულ და ინგლისურ ენებზე, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი, №1, თბილისი, 2024 წელი.

რატი ჩანტლაძე არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულები - 84/17.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 10.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - *„ადმინისტრაციულ სამართალში* - რატი ჩანტლაძეს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და მისი პრაქტიკაში კარგად გამოყენების უნარი. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და

თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. შეუძლია გასაგებად და მარტივად გადმოსცეს აზრი, ასევე აქვს ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები წერილობით ზედმიწევნით და შინაარსობრივად ჩამოყალიბების უნარი. რატი ჩანტლაძე არის ორგანიზებული, გაწონასწორებული, ბეჯითი, კომუნიკაბელური, კოლეგიალური და თავაზიანი ადამიანი. გარემოებებს აფასებს კრიტიკულად და შეუძლია შეცდომების აღიარება. *სამოქალაქო სამართალში* - რატი ჩანტლაძეს, აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. რეკომედირებულია მან იმუშაოს დროის მართვის და კონცენტრაციის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე. *სისხლის სამართალში* - კანდიდატს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა, შესაბამისად, ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. მისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, პიროვნული თვისებები და უნარები სრულ შესაბამისობაშია, სამომავლოდ, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებასთან. კანდიდატს, რომელიც სამოქალაქო სამართლის სპეციალისტია, სისხლის სამართალში აქვს სათანადო თეორიული ცოდნა, რასაც წარმატებით გამოიყენებს პრაქტიკაში. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. შეუძლია სწორი არგუმენტების მოძიება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. რეკომენდებულია მან იზრუნოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე, სისხლის სამართალში თეორიული ცოდნის კიდევ უფრო გაღრმავებასა და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე."

რატი ჩანტლაძეს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენინგსა თუ სასწავლო კურსში: (მაგ: 2018 წლის სექტემბერი, ქართული სანივთო სამართალი: გერმანული სამართლებრივი ფიგურები მათი რეცეფციის ჭრილში - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი; 2021 წლის ივნისი - საავტორო სამართალი ("CopyrightX") - ჰარვარდის სამართლის სკოლა, ბერკმან კლაინის ცენტრი; 2022 წლის სექტემბერი - ვორქშოპი მოსამართლის თანაშემწეთათვის: შემთხვევის

გადაწყვეტის მეთოდი - საქართველოს უზენაესი სასამართლო, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა და ა.შ.).

რატი ჩანტლაძეს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა და მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები, ასევე, გავლილი აქვს მედიაციის სასერთიფიკატო ტრენინგ კურსი.

კანდიდატი 2018 წლის გაზაფხულის სემესტრიდან - დღემდე არის მოწვეული ლექტორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (სასწავლო დისციპლინები: ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელშეკრულებო სამართალი), ასევე იყო მოწვეული ლექტორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე (სასწავლო დისციპლინა - ბიზნეს სამართალი), 2023 წლის გაზაფხულის სემესტრში.

კანდიდატი ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

3. ***კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:***

კანდიდატს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები უმეტესწილად იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული.

4. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოთხივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატისათვის): ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა და დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ:

საანგარიშო პერიოდში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობის დამდგენი კანონმდებლობით გათვალისწინებული რამდენიმე სამართალდარღვევის ჩადენა არ ადასტურებს, რომ „კანდიდატს", როგორც მოქალაქეს, არ აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებელი - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი", იმავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განმარტებების თანახმად, ბევრ სხვა კომპონენტსაც (პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა) მოიცავს. ვინაიდან, სხვა ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა ამ პრეზუმფციას, არ გამაჩნია, „კანდიდატი" აკმაყოფილებს ყველა ამ კომპონენტს.

<u>შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის" მახასიათებელს.</u>

კანდიდატის არის პრინციპული, მიუკერძოებელი, გამოირჩევა სამართლიანობით და პიროვნული სიმტკიცით.

<u>შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის" მახასიათებელს.</u>

კანდიდატი არის პატიოსანი, დინჯი, ზრდილობიანი, კორექტული, ურთიერთობისას თავდაჭერილი, ამდენად, ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებელს.

კანდიდატის აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი სამსახურსა და საზოგადოებაში, ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მივიჩნიე, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე მივედი იმ დასკვნამდე, რომ **კანდიდატი რატი ჩანტლაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

5. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-3 პუნქტი) და იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასების ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

კანდიდატს გააჩნია სამოქალაქო სამართლის მიმართულებით მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების სიღრმისეული ცოდნა. შესაბამისად, კანდიდატის საჯარო მოსმენისას გამოვლენილი შეცდომების/ხარვეზების შემოხვევების და კითხვების სირთულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით, შევაფასე **23 ქულით (მაქსიმალური -25);**

კანდიდატს გააჩნია კარგი ანალიტიკური აზროვნების უნარი, საქმის ღრმად და დეტალურად გაცნობის, ასევე, სამართლებრივი პრობლემის წამოჭრისა და სამართლებრივად არგუმენტირებულად გადაწყვეტის უნარი.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის

მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **23 ქულით (მაქსიმალური - 25 ქულა);**

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი პუბლიკაციების შესწავლით დავადგინე, რომ კანდიდატის მსჯელობა ძირითადად ლოგიკური და ანალიტიკურია, თუმცა გვხვდება რთული ქვეწყობილი წინადადებები, რაც აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემას გარკვეულწილად აფერხებს.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - რატი ჩანტლაძის მიერ მომზადებული სასამართლოს განჩინებები/გადაწყვეტილებები ჩამოყალიბებული იყო გამართული ქართულით, როგორც გრამატიკულად, ისე სტილისტურად. სამართლებრივი მსჯელობა იყო ლოგიკური, მის მიერ მოყვანილი დასაბუთება მოიცავდა თეორიული და სამართლებრივი ცოდნის სინთეზს. კანდიდატს შეუძლია სამართლებრივი მსჯელობა გადმოსცეს გასაგები ენით. მის ნაშრომში ყოველთვის იგრძნობა წერის მაღალი კულტურა, ისინი მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებებს საჭიროებს. რატი ჩანტლაძე გამოირჩევა საუკეთესო ვერბალური კომუნიკაციის უნარით, რაც გამოიხატა სტაჟირების პერიოდში სხვადასხვა ადმინისტრაციულ დავებთან მიმართებით ფაქტობრივი გარემოებების გამართულად ჩამოყალიბებასა და საკუთარი აზრის მყარად და არგუმენტირებულად გადმოცემაში. შესწევს უნარი საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს ზეპირად, ზეპირად ამომწურავად გადმოსცემს აზრს და შემდეგ მოკლე შეჯამებას ასახავს წერილობით. რატი ჩანტლაძე მეტწილად ლაკონიურად და გასაგებად გადმოსცემს აზრს. ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან საკითხებზე.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **19 ქულით, (მაქსიმალური - 20 ქულა);**

კანდიდატს შეუძლია ეფექტიანად დაგეგმოს თავისი სამუშაო განრიგი, მართოს საქმეთა ნაკადი, გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციით, კეთილსინდისიერებით და შრომისმოყვარეობით.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული ოვისებების“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **15 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);**

კანდიდატს ახასიათებს სიახლეების მიმართ ღიაობა, აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის სურვილი, მონაწილეობა აქვს მიღებული პროფესიული წვრთნის არაერთ პროგრამაში და შეუძლია მიღებული ცოდნის და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება. ასევე, აღსანიშნავია, რომ რატი ჩანტლაძე არის დოქტორანტი და ეწევა აკადემიურ საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „<u>აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის</u>" <u>მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **7 ქულით (მაქსიმალური 10 ქულა).**</u>

კანდიდატი 2018 წლიდან, მიწვეული ლექტორის სტატუსით, ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ და ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტებზე, სადაც უძღვება სემინარებს კერძო სამართლის მიმართულებით. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტით გათვალისწინებული <u>„პროფესიული აქტივობის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **1 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა).**</u>

<u>აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 88 ქულას.</u>

ლევანი თევზაძე